სოფო ხუციშვილი

**საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა**

სახელმწიფო მართვის სკოლა

ბუდაპეშტის კონვინუსის უნივერსიტეტი, უნგრეთი

,,2024 წლის შემოდგომის სემესტრში, მონაწილეობა მივიღე  ბილატერალურ გაცვლით პროგრამაში, რაც ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო. უნგრეთი და კორვინუსის უნივერსიტეტი ჩემი სტუდენტური პერიოდის გასაოცარი, ახალი გამოცდილებებით სავსე მოგონებაა. პროგრამაში მონაწილეობა ჩემთვის ცხოვრების ახალი ეტაპი იყო, ვინაიდან სხვა ქვეყანაში მარტო ცხოვრების პირველი გამოცდილება მივიღე. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ კომფორტის ზონის დატოვება საუკეთესო გზაა განვითარებისა. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ გაცვლით პროგრამაში იმაზე ბევრად მეტი გამოცდილება მივიღე, ვიდრე თავიდან წარმოვიდგენდი. ვისწავლე დამოუკიდებლად ცხოვრება, განსხვავებულ კულტურასთან ურთიერთობა და რაც მთავარია, პიროვნულად და აკადემიურად კიდევ უფრო განვვითარდი.

საბოლოოდ, მათ, ვინც ბოლომდე არაა დარწმუნებული 5-6 თვით ქვეყნის, მეგობრების, საქმეების დატოვება რამდენად ღირს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის, ვეტყოდი, რომ არ იყოყმანონ.  საზღვარგარეთ დაუვიწყარი გამოცდილების მიღების შემდეგ, ისინი აუცილებლად კმაყოფილები დარჩებიან თავიანთი გადაწყვეტილებით.’’